შპს თეგეტა აკადემია
TEGETA ACADEMY LTD

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

შპს „თეგეტა აკადემია“

ქ. თბილისი

16 სექტემბერი, 2020

ბრძანება N0251

შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის გასაწევი მომსახურების საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმების
დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამტკიცებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილების და „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის N188/ნ ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ არაფორმალური განათლების აღიარების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის გასაწევი მომსახურების საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმები დანართი N2-ის შესაბამისად.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის მოადგილეს ალექსი ჩიბარაშვილს.

დირექტორი

ლია ბერუაშვილი

საქართველო, 0131 ქ.თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №5.
ტელეფონი: +995 32 226 44 46
info@tegetaacademy.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC-ბანკი"
SWIFT: TBCBGE22

№5, 12 km, D.Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia.

Beneficiary's Bank: TBC BANK
11, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia

დანართი N1

შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ არაფორმალური განათლების აღიარების წესი

1. წესის რეგულირების სფერო

1.1. შპს „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში - „აკადემია“) მიერ არაფორმალური განათლების აღიარების წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს აკადემიის მიერ, არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის (შემდგომში -„მაძიებელი“) ფორმალური განათლების მიღმა, არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ვადებსა და პროცედურებს.

1.2. წესის შემუშავების მიზანია აკადემიის, როგორც ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, მაძიებლებისთვის ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება და შესაბამისი დოკუმენტის გაცემა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის.

1.3. აკადემია უფლებამოსილია განახორციელოს სწავლის შედეგების აღიარება მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს ავტორიზაციის შედეგად მოპოვებული, ასევე, მხოლოდ იმ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.4. წინამდებარე წესი არ ეხება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულირებადი პროფესიების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების აღიარებას.

2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები

2.1. აკადემია არაფორმალური განათლების აღიარებას ახორციელებს „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილების (შემდგომში - „მთავრობის დადგენილება“), „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N188/ნ ბრძანების (შემდგომში - „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება“), „არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის N837/ი ბრძანების (შემდგომში - „ცენტრის დირექტორის ბრძანება“) შესაბამისად.

2.2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განაცხადის წარდგენა;

ბ) კონსულტირება/დოკუმენტირება;

გ) შეფასება;

დ) გადაწყვეტილების მიღება.

2.3. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და მაძიებლის კონსულტირების ფორმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აკადემიის დირექტორი ქმნის აღიარების კომისიას (შემდგომში - „აღიარების კომისია“).

3. არაფორმალური განათლების აღიარების საფასური

3.1. არაფორმალური განათლების აღიარებისთვის მაძიებელი ვალდებულია აკადემიას წარუდგინოს **განაცხადის განხილვის საფასური** განაცხადის დასაშვებობის ეტაპზე, ხოლო **სწავლის შედეგების აღიარების საფასური** - კონსულტირებისა და დოკუმენტირების ეტაპის შემდგომ.

3.2. არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის გასაწევი მომსახურების საფასურის ოდენობა და საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმები დადგენილია წინამდებარე ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

4. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირის/მაძიებლის განცხადების მიღების ვადები

4.1. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირი/მაძიებელი, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, უფლებამოსილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული **მაძიებლის განცხადების ფორმის** შესაბამისად არაფორმალური განათლების აღიარების მოთხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართოს აკადემიას ყოველ სამუშაო დღეს, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:30 საათიდან 18:30 საათამდე (განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ.გვერდზე - http://tegetaacademy.edu.ge/).

4.2. ელექტრონული ბაზის შექმნამდე, მაძიებელი უფლებამოსილია განცხადება აკადემიაში წარადგინოს მატერიალური სახით აკადემიის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N5 ხოლო ელექტრონული სახით - აკადემიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@tegetaacademy.ge. ელექტრონული ბაზის შექმნის შემდეგ, განაცხადის გადაგზავნა შესაძლებელი გახდება აღნიშნული ბაზის გამოყენებით.

4.3. მაძიებლის მიერ წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) მაძიებლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი: შრომის ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.

4.4. განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) მაძიებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) ელ-ფოსტას;

დ) ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მაძიებლის მოთხოვნას, მისი დასაქმების/განათლების სფეროს, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანს;

ზ) მაძიებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე თანდართული საბუთების ნუსხას.

4.5. აკადემია განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან (დასაშვებობის შემოწმება).

4.6. განაცხადის დასაშვებობის ეტაპზე, თუ აღმოჩნდება, რომ განცხადება არ მოიცავს სრულად განხილვისთვის საჭირო დოკუმენტაციას, აკადემია განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 (ხუთი) და არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

4.7. განაცხადში ხარვეზის არარსებობის ან აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დასაშვებად ცნობის თაობაზე.

4.8. თუ აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ აღმოფხვრის აკადემიის მიერ დადგენილ ხარვეზსაკადემია უფლებამოსილი იქნება გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რა შემთხვევაშიც განაცხადის განხილვის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4.9. განცხადების დასაშვებად ცნობის შემდეგ, მაძიებელი წერილობითი ფორმით მიმართავს აკადემიას არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კონსულტირების მიზნით , რის შემდგომაც დაიწყება კონსულტირებისა და დოკუმენტირების ეტაპი.

5. კონსულტირება და დოკუმენტირება

5.1. აკადემია მაძიებელთა კონსულტირებას უზრუნველყოფს კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, რომელიც სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.2. განაცხადის მიღების შემდეგ, კონსულტანტი უზრუნველყოფს მაძიებელთან დაკავშირებას და მისთვის ინფორმაციის მიწოდებას კონსულტირების დროისა და ადგილის თაობაზე.

5.3. კონსულტანტი უზრუნველყოფს მაძიებლის კონსულტირებას:

ა) არაფორმალური განათლების აღიარების მიზნების შესახებ;

ბ) არაფორმალური განათლების აღიარებისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის, პროცედურების, ეტაპებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ;

გ) არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მოთხოვნებისა და საჭიროების შესახებ.

5.4. მაძიებელს შესაძლებელია ჩაუტარდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 საკონსულტაციო შეხვედრა, აკადემიის მისამართზე. კონსულტირება შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით დისტანციურად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელი იქნება მაძიებლის პრაქტიკული სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასება, რაც საჭიროებს ადგილზე ვიზიტს.

5.5. კონსულტირების შედეგად, მაძიებელი უზრუნველყოფს აღიარების კომისიისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმირებას. დოკუმენტაციის ფორმირების პროცესში, კონსულტანტმა შესაძლებელია მაძიებელს განუსაზღვროს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის ვადა არანაკლებ 5 სამუშაო დღის და არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ოდენობით.

5.6. კონსულტირების საფუძველზე, კონსულტანტის მიერ ივსება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული **მაძიებლის კონსულტირების ფორმა,** რომელიც კონსულტანტისა და მაძიებლის მიერ მისი ხელმოწერისა და მაძიებლის მიერ სწავლის შედეგების აღიარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად (ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი, განათლების ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, მაძიებლის პორტფოლიო და ა.შ.) წარედგინება აღიარების კომისიას, განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. აღიარების კომისია

6.1. შეფასების პროცესს წარმართავს აღიარების კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან.

6.2. აღიარების კომისიის შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს აკადემიის დირექტორი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

6.3. კომისიაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირების წარმომადგენლობა:

ა) შესაბამისი სფეროს სპეციალისტი – დამსაქმებლების ან/და დამსაქმებელთა/დარგობრივი გაერთიანების წარმომადგენელი;

ბ) შესაბამისი სფეროს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) დაწესებულების წარმომადგენელი.

6.4. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია კომისიის შემადგენლობაში შეიყვანოს დამატებით სხვა პირ(ებ)ი.

6.5. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აკადემიის დირექტორის მიერ განისაზღვრება თუ ვის მიმართავს აკადემია კომისიის შემადგენლობისთვის კანდიდატების წარმოდგენის მიზნით, რა კომპეტენციას უნდა ფლობდნენ კანდიდატები, ამასთანავე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აკადემიის გადაწყვეტილების საფუძველზე, აკადემია ან თავად შეაჩევს წარმოდგენილი კადიდატებიდან აღიარების კომისიის წევრებს ან კონკრეტული რაოდენობის წარმომადგენელს მოითხოვს კონკრეტული დაწესებულებისგან.

7. აღიარების კომისიის ფუნქციები და გადაწყვეტილების მიღების პირობები

7.1. აღიარების კომისია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

7.2. აღიარების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ 3 (სამი) წევრისა.

7.3. კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები.

7.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

7.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

7.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

7.8. შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის მაძიებლის მიერ წარდგენილ განცხადებასა და კონსულტანტის მიერ შევსებულ კონსულტირების ფორმას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას.

7.9. აღიარების კომისია განიხილავს და ადგენს თუ რომელი დოკუმენტია სანდო მითითებული სწავლის შედეგების დასადასტურებლად. კომისიას აქვს უფლება, განხილვის დროს დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, დანიშნოს გასაუბრება მაძიებელთან ან/და კონსულტანტთან. ამასთანავე, აღიარების კომისია უფლებამოსილია მაძიებელს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების) შესახებ. ასევე, კონსულტანტისგან გამოითხოვოს მაძიებლის შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

7.10. არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების ან/და სხვა ტიპის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შედეგად, კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს შეფასების ან/და გამოცდის ჩატარების ორგანიზების საკითხები ან/და შექმნას საგამოცდო კომისია ან/და განსაზღვროს შეფასების პროცესში/გამოცდაზე ჩასართავი პირი/პირები.

7.11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების არაფორმალური განათლების პროცესის წარმართვისთვის სავალდებულოა საგამოცდო კომისიის შექმნა. ასეთ შემთხვევაში, საგამოცდო კომისია უფლებამოსილია დაადგინოს შეფასების ინსტრუმენტები.

8. მაძიებლის გამოცდა

8.1. საგამოცდო კომისია შედგება მასწავლებლებისგან და შესაბამისი სფეროს დამსაქმებლის წარმომადგენლებისაგან. საგამოცდო კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს კონსულტანტმა, საგამოცდო კომისიის თანხმობის საფუძველზე.

8.2. მე-7 მუხლის 7.11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგამოცდო კომისიის წევრთა შორის უნდა იყვნენ ინკლუზიური განათლების მიმართულების კომპეტენციის მქონე პირები, ხოლო საგამოცდო კომისია გამოცდის მეთოდების მოდიფიცირებას ახდენს მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

8.3. აკადემია მაძიებლის ინფორმირებას უზრუნველყოფს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შეფასების მეთოდების/ფორმებისა და პროცედურის შესახებ, ასევე გამოცდის/გამოცდების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

8.4. ასაღიარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირი ან/და პრაქტიკული დავალების შესრულებით. მაძიებლის პრაქტიკული

კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა/შეფასება ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე.
8.5. მაძიებლისთვის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში აღიარების კომისია განიხილავს საგამოცდო კომისიის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგებს.

9. აღიარების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

9.1. მაძიებლის კონსულტირების განხორციელებიდან და სწავლის შედეგების აღიარების საფასურის გადახდიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში აღიარების კომისია გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
9.2. აღიარების კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ;
ბ) არაფორმალური განათლების ნაწილობრივ აღიარების შესახებ;
გ) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
9.3. აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.
9.4. აღიარების კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება აკადემიის დირექტორს, რომელიც 5 (ხუთი) დღის ვადაში გამოსცემს ბრძანებას აღიარების დადასტურების, ნაწილობრივ აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
9.5. აკადემიის დირექტორის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების დადასტურების შესახებ ბრძანების საფუძველზე აკადემიის მიერ, მაძიებლის სახელზე გაიცემა:
ა) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში – სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი;
ბ) მოდულით/მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერდადასტურების შემთხვევაში – ცნობა დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;
გ) მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელი სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში - კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი.
9.6. აკადემიის დირექტორის ბრძანების გამოცემის შესახებ ეცნობება მაძიებელს ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
9.7. ამ მუხლის 9.5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერტიფიკატის ფორმას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი.

10. სხვა დებულებები

10.1. აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული სისტემაში (შემდეგში - „ელექტრონული სისტემა") მაძიებლის არაფორმალურ განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა და კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტების ასახვა.
10.2. მაძიებლის არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მატერიალური სახით შენახვაზე და შემდგომში ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის სისწორის ასახვაზე პასუხისმგებელია აკდემიის ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეყვანაზე პასუხისმგებელი პირი.

დანართი N2

არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის გასაწევი მომსახურების საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმები

1.1. არაფორმალური განათლების აღიარებისთვის არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირი (შემდგომში - „მაძიებელი") ვალდებულია შპს „თეგეტა აკადემიას" (შემდგომში - „აკადემია") წარუდგინოს ორი სახის საფასური:
ა) განაცხადის განხილვის საფასური;
ბ) სწავლის შედეგები აღიარების საფასური.
1.2. განაცხადის განხილვის საფასური შეადგენს ფიქსირებულ თანხას - 50 (ორმოცდაათი) ლარს.
1.3. სწავლის შედეგების აღიარების საფასური გამოითვლება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მაძიებლის კონსულტირების ფორმის შესაბამისად, ასაღიარებელი სწავლის შედეგების რაოდენობის საფუძველზე და დაანგარიშდება შემდეგი ფორმულით: $\sum = B+Y(X)$. ფორმულის თითოეული კომპონენტი განისაზღვრება შემდეგნაირად:
$\sum$ - სწავლის შედეგის აღიარების საფასური;
B - არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის საქმიანობისთვის, მ.შ. სერტიფიკატის, ცნობის, ან დიპლომის დამზადებისთვის საჭირო ხარჯები (200 ლარი);
X - კონსულტანტის ანაზღაურება ერთი სწავლის შედეგისთვის (50 ლარი).
Y- სწავლის შედეგების რაოდენობა, რის აღიარებასაც ითხოვს მაძიებელი.
1.4. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული არაფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის გასაწევი მომსახურების საფასურის შესახებ მაძიებელთა ინფორმირების მექანიზმები არის საჯარო და განთავსებულია აკადემიის ვებ.გვერდზე: http://tegetaacademy.edu.ge/.
1.5. მაძიებელი ვალდებულია არაფორმალური განათლების აღაირების შესახებ განაცხადს დაურთოს განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განაცხადი დარჩება განუხილველი.
1.6. განაცხადის დასაშვებობის ეტაპზე, თუ აღმოჩნდება, რომ განცხადება არ მოიცავს სრულად განხილვისთვის საჭირო დოკუმენტაციას, აკადემია განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 (ხუთი) და არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.
1.7. განაცხადში ხარვეზის არარსებობის ან აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებლის მიერ ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.8. თუ აკადემიის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი აკადემიის მიერ დადგენილ ხარვეზს აკადემია უფლებამოსილი იქნება გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რა შემთხვევაშიც განაცხადის განხილვის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
1.9. სწავლის შედეგების აღიარების საფასურის გადახდა ხდება კონსულტირებისა და დოკუმენტირების ეტაპის შემდგომ, კონსულტანტისა და მაძიებლის მიერ მაძიებლის კონსულტირების ფორმის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დრის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სწავლის შედეგების აღიარების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, აკადემიის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას წარმოების შეწყვეტის თაობაზე.
1.10. მაძიებლის მიერ, განაცხადის განხილვის საფასური და სწავლის შედეგების აღიარების საფასური გადახდილ უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორების გზით, აკადემიის საბანკო რეკვიზიტებზე, რაც მითითებული იქნება აკადემიის ვებ.გვერდზე: http://tegetaacademy.edu.ge/.